ხაშურის მოამბე

№31(355) 22 აგვისტო, ორშაბათი, 2022 წელი

შიდა ქართლის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულად მიხეილ შაყულაშვილი დაინიშნა

შიდა ქართლის რეგიონში ახალ სახელმწიფო რწმუნებულად მიხეილ შაყულაშვილი დაინიშნა. მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, ლერი ბარნაბიშვილმა შაყულაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს წარუდგინა. ახალმა სახელმწიფო რწმუნებულმა პრემიერ-მინისტრს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მისთვის ეს პოსტი მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობაა.

მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის ლერი ბარნაბიშვილის განცხადებით, მიხეილ შაყულაშვილი წარმოშობით კასპის მუნიციპალიტეტიდან არის, საჯარო სამსახურში სხვადასხვა მიმართულებით მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, მათ შორის წლების განმავლობაში მუშაობდა შიდა ქართლის რეგიონში სხვადასხვა თანამდებობებზე.

შეხვედრა ალის მოსახლეობასთან

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, საკრებულოს წევრებთან, მერიის სამსახურებისა და პარლამენტის დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ ალის მოსახლეობას შეხვდა.

მოსახლეობასთან საუბარში გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები: სარწყავის წყლის არქონა, ბრილის სკოლის დაზიანებული და ავარიული შენობა, ალის საჯარო სკოლაში ცენტრალური გათბობის აუცილებლობა. სასაფლაომდე მისასვლელი გზის კეთილმოწყობა, ბაგა - ბაღის შემოღობვა, რომელიც თანამედროვედ აღიჭურვა და ფუნქციურადაც დატვირთულია.

სოფლის უფროსი თაობის წარმომადგენლებმა ითხოვეს სოფლის შესასვლელში აღმართული მეორე მსოფლიო ომის გმირის ძეგლის რესტავრაცია. წამოჭრეს, აგერთვე, სამედიცინო ამბულატორიაში გათბობის საკითხი, ბიბლიოთეკის გახსნის აუცილებლობა.

მერიის ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა გიორგი ცერცვაძემ ისაუბრა ჯანდაცვის მუნიციპალურ პროგრამებზე.

ყველამ ერთად დაათვალიერა ადგილობრივი მკვიდრის, დავით საყვარელიძის საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლი. იმსჯელეს, რა კანონიერი დახმარება შეიძლება აღმოუჩინონ სახლის მფლობელს.

შეხვედრას, რომელიც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ-ის, „მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის“ პროექტის -„ანგარიშვალდებული საკრებულოს წევრი -ძლიერი დემოკრატიისთვის“ ფარგლებში გაიმართა, ესწრებოდნენ პროექტის წარმომადგენლები.

სოფელ ქინძათში ახალი სკოლა შენდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა მიმდინარეობას. პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება, რაზეც 2 400 000 ლარია გათვალიწინებული.

სამუშაოების მიმდინარეობას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი სიმონ გულედანი გაეცნო. მისი თქმით, საჯარო სკოლის ტერიტორია 6 250 კვადრატულ მეტრს მოიცავს, სადაც უკვე აშენდა თანამედროვე სტანდარტების მქონე შენობა და ეზოში მოეწყო სპორტული მოედანი. „შეუფერხებლად მიმდინარეობს სამშენებლო პროცესი, ძირითადი სამუშაოები დასრულებულია. მიმდინარეობს ეზოს სამღებრო სამუშაოები, ეზოს შემოღობვა. განახლებულ სასწავლო წელს მოსწავლეები და პედაგოგოები ახალ შენობაში შეხვდებიან“ - აღნიშნა სიმონ გულედანმა.

ქინძათის საჯარო სკოლაში 100-მდე მოსწავლე სწავლობს და 22 პედაგოგია დასაქმებული. ახალი სკოლა სამ სოფელს მოემსახურება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური_უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2022 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაოების_ანგარიში

2022 წლის პირველი იანვრიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური პროგრამების განხორციელებას.

2022 წელს, სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა ფულადი დახმარების სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამა, რომელთა ფინანსური მოცულობა შეადგენს 1 147 400 ლარს. მათ შორის:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამა - 105 400 ლარი;

ბ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა 809 800 ლარი;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 38 200 ლარი;

დ) კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა - 24 000 ლარი;

ე) უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა - 170 000 ლარი;

2022 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაოების მდგომარეობა კი ასეთია:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამა - 47 811 ლარი;

ბ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა - 628 997. 28 ლარი;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 21 925 ლარი;

დ) კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების (43 პედაგოგი) უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა 11 466 ლარი;

ე) უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა - 62 604 ლარი;

გაწეული დახმარების მთლიან მოცულობაში მნიშვნელოვანი წილი უკავია ქრონიკული დაავადების მქონე ავადმყოფების უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფას. აღნიშნული მუხლით დაფინანსება ეხება შემდეგი კატეგორიის ავადმყოფებს: ეპილეფსიით, ონკოლოგიურ, დაუნის სინდრომით, ინსულტით, ჰემოფილიით, ღვიძლის ციროზით, სისტემური და ეპიდემიის შედეგად დაავადებულებს 100 ლარის ოდენობით, ბრონქული ასთმა, პარკინსონი, 300 ლარის ოდენობით და აორტო-კორონარული შუნტირებით 500 ლარის ოდენობით, ამ მიზნით დახმარება გაეწია 33-ზე მეტ ბენეფიციარს 13 483 ლარის ოდენობით.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ქრონიკული დაავადების მქონე ბავშვების/ მოზარდების რეაბილიტაციის კურსის დაფინანსებას. სქოლიოზით დაავადებულ 31 მოზარდს გაეწია დახმარება და ჩაუტარდა რეაბილიტაციის სრული კურსი, რამაც 9 250 ლარი შეადგინა.

მიმდინარე წელს, მუნიციპალური პროგრამით, ფულადი სოცია;ური დახმარება გაეწია მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირებს და იმ პირებს, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან, ან საჭიროებენ მომვლელს. აღნიშნული კატეგორიის 119 ბენეფიციარს გაეწია 35 900 ლარის ფულადი დახმარება.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დადებითი როლი ითამაშა ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებამაც. ამ მუხლით ფინანსდებიან:

1. ა) ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ გეგმიურ ქირურგიულ ჩარევას;

ბ) ავადმყოფები,რომლებიც საჭიროებენ მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევებს (ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა, კომპიუტერული ტომოგრაფია და იმუნოჰისტოქიმიური კვლევა);

2. ავადმყოფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია,ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა;

3. ავადმყოფები, რომლების საჭიროებენ სხივური და ქიმიოთერაპიის კურსის თანადაფინანსებას;

მე-2 პუნქტით- „ავადმყოფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია,ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“-დახმარების გაცემის შესაძლებლობას, მიზანშეწონილებას და მოცულობას (არაუმეტეს 2000 ლარისა) განსაზღვრავს 2018 წლის 23 მაისს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული მუხლით ფულადი დახმარება გაეწია 565 ბენეფიციარს, რამაც სულ შეადგინა 289 341.78 ლარი.

ასევე, დაფინანსდა 28 ხელმოკლე სტუდენტი. მათ სწავლის ღირებულების თანადაფინანსებისათვის 800 (არაუმეტეს) ლარის ფარგლებში უმაღლეს სასწავლებელში ჩაერიცხათ 22 162.50 ლარი;

თირკმლის დიალიზის პროგრამაში ჩართულმა 37 ბენეფიციარმა მიიღო დაფინანსება 18 500 ლარის ოდენობით;

მრავალშვილიან (ოთხი და მეტი შვილი) დედებს, რომლებსაც შეეძინათ ოთხი და მეტი შვილი, ასევე, დედის დღესთან დაკავშირებით 341 მრავალშვილიან დედას გაეწიათ ფინანსური დახმარება 116 600 ლარის ოდენობით.

გრძელდება სოციალური დახმარების გაწევა დედ-მამით ობოლ ბავშვებზე. დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში ასეთმა სამმა ბავშვმა მიიღო დახმარება 1400 ლარის ოდენობით.

მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანი, დევნილი, უპატრონო მიცვალებული) გაეწია 8 ბენეფიციარს - 2000 ლარის ოდენობით.

სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული პირების რესოციალიზაცია გაეწია 2 ბენეფიციარს 400 ლარის ოდენობით.

აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდების (0 დან -18 წლამდე) სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება გაეწია 15 ბენეფიციარს - 15 000 ლარის ოდენობით.

პარალელურად გრძელდება წინა პერიოდში დაწყებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების დღის მოვლის ცენტრის, მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამები.

გარდა ამისა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი 185 მოქალაქე სარგებლობს უფასო სასადილოს მომსახურებით, რომლის დანახარჯი დღეის მდგომარეობით შეადგენს 62 604 (6 თვე) ლარს;

გრძელდება კონფლიქტის გამყოფი ხაზის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის დაფინანსების მუნიციპალური პროგრამა.

მიმდინარე წელს, სოციალურად დაუცველ 755 ოჯახს, შობისა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, კვების პროდუქტების პაკეტებით გაეწიათ დახმარება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 54 360 ლარი;

ასევე, ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილმა 5 ოჯახმა მიიღო ფულადი დახმარება 11 000 ლარის ოდენობით;

უკიდურესად გაჭირვებულ და უბინაო მოქალაქეებს (27 ოჯახი) ბინის ქირით უზრუნველსაყოფად ჩაერიცხათ 24 900 ლარი;

ომის ვეტერანთა 49 ოჯახს გაეწიათ ფულადი დახმარება ფაშიზმზე გამარჯვების და საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით 300-300 ლარით. სულ ამ თანხამ შეადგინა 14 700 ლარი;

ჩვენი სამსახური მომავალშიც ეცდება გაითვალისწინოს საზოგადოებაში არსებული პრობლემები და მოთხოვნები, რომელიც შესაბამისად ასახული იქნება მოქმედ პროგრამებში.

გიორგი ცერცვაძე,
სამსახურის ხელმძღვანელი:

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22 ,23,24,25,26,27,28,29,30)

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

ყველაზე მეტი საჩუქრები გააგზავნეს წრომისა და ცხრამუხის საბჭოების კოლმეურნეებმა, საელმავლო დეპოელებმა - 7660, სავაგონო დეპოელებმა – 3781, ენერგომომარაგების უბანმა – 4000, კავშირგაბმულობის ხაშურის დისტანციამ – 2540 მანეთის საახალწლო საჩუქრები გაუგზავნეს წითელ არმიას.

1943 წლის 7 ნოემბერს ოქტომბრის რევოლუციის 26 – ე წლისთავთან დაკავშირებით გაზეთი „ბოლშევიკური სიტყვა“ წერდა: „ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებით აღნიშნავენ ჩვენი რაიონის მშრომელები სახელოვან 26 – ე წლისთავს.

ძვირფასი და მრავალფეროვანი საჩუქრები გაუგზავნეს მათ წითელი არმიის მებრძოლებს და მეთაურებს, 6,5 მილიონ მანეთზე მეტი მისცეს სესხად სახელმწიფოს და შეიძინეს 1,5 მილიონი მანეთის ლატარიის ბილეთები.

დიდი დახმარება ეწევათ წითელ არმიაში გაწვეულთა ოჯახებს, რაიონმა შეასრულა სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმა და წარმატებით ამთავრებს მინდვრის საშემოდგომო სამუშაოებს.

რაიონის უდიდესმა საწარმოებმა – საელმავლო დეპომ და ენერგო-მომარაგების უბანმა გაანადგეს წინასაოქტომბრო სოციალისტური ვალდებულებანი და ამიერკავკასიის რკინიგზის გარდამავალი წითელი დროშები მოიპოვეს“.

1943 წლის 29 ოქტომბერს იგივე გაზეთი წერდა: „ლენინურ-სტალინური კომკავშირის სახელოვან იუბილეს ახალი საბრძოლო საქმეებით აღნიშნავს საბჭოთა ახალგაზრდობა. ამ იუბილესათვის ემზადებოდა ჩვენი რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია, რომელიც ამაყობს მის მიერ აღზრდილი ფრონტელების – მზვერავ მახათაძის და არტილერისტ ქალიაშვილის, მფრინავ ვეშაპიძის და კაპიტან ხერხეულიძის და მრავალი სხვის საგმირო საქმეებით. იგი ამაყობს იმ წარმატებებით, რაც მოიპოვეს მისმა წევრებმა საკოლმეურნეო მინდვრებში და ქარხნებში, რკინიგზის ტრანსპორტზე და სკოლებში“ .

ომის დაწყების პირველსავე დღეებში რკინიგზის ხაშურის კვანძის წარმოება-დაწესებულებებში ფართოდ გაიშალა „ორასოვანთა მოძრაობა“, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ახალგაზრდები, რომლებიც 200, 300 და მეტი პროცენტით ასრულებდნენ ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს.

სავაგონო დეპოს ახალგაზრდები დღითიდღე აუმჯობესებდნენ მიღწევებს და უკვე სექტემბრის თვეში „ორასოვანთა მოძრაობას“ არაერთი მათგანი შეუერთდა. ზეინკალმა ა. კოზანაშვილმა გეგმა 487 პროცენტით შეასრულა, შ. მჭედლიშვილმა 425, შ. ტაბატაძემ – 212, ვ. კაკიაშვილმა – 400, შ. ლომსაძემ – 400, გ. აბუაშვილმა 200 პროცენტის და სხვა. სავაგონო დეპოს „ორასოვან“ ახალგაზრდებს სექტემბრის ბოლოს შეუერთდა დიმიტრი მურჯიკნელი, რომელმაც გეგმა 206 პროცენტით შეასრულა, ამავე დროს ზეინკალმა გიორგი აბუაშვილმა 297 პროცენტით, მეთუნუქე ვლადიმერ ტაბატაძემ – 303, დურგალმა საშა გელაშვილმა 408, შეასრულა შემდუღებელმა სოლომონ კილასონიამ 474, ხოლო ბეჟან კალმახელიძემ კი 579 პროცენტით.

სავაგონო დეპოში აგვისტოს თვეში მხოლოდ 10 „ორასოვანი“ იყო, ოქტომბრის დასაწყისში კი აქ უკვე 28 ორასოვანი მუშაობდა. მოწინავეთა რიგებში იდგნენ ზეინკალი გიორგი პაპუაშვილი, რომელიც გეგმას 255 პროცენტით ასრულებდა, ავტოზეინკალი მიხეილ კიკნაძე 230, ჟორა თხელიძე – 253, დავით სიხარულიძე – 270 და შალვა მალიძე – 275 პროცენტით .

„ორასოვანთა“ რიგების შესამჩნევი ზრდა იყო ენერგომომარაგების ხაშურის უბნის მუშა-ახალგაზრდობაში. აქ 14 მოსამსახურიდან 10 „ორასოვანი“ იყო. ბრიგადირი ნიკოლოზ ტატიშვილი 300 პროცენტით ასრულებდა საწარმოო დავალებებს, ასევე მონტიორი ვასილ გოგოლაძე. ხოლო მძღოლის თანაშემწე ვახტანგ ფუტკარაძე – 250 პროცენტით. უბნის პირველი „ორასოვანი“ მიხეილ კიკნაძე სისტემატიურად ასრულებდა, საწარმოო გეგმას 240 პროცენტით.

„ორასოვანთა“ რიგები იზრდებოდა საორთქლმავლო დეპოშიც, მემანქანე ვიქტორ ელისაშვილი, ზეინკალი ირაკლი კაკაბაძე, მემანქანის თანაშემწე პ. ხაჩიძე და სხვები საუკეთესო შედეგებს აღწევდნენ საწარმოო გეგმების შესრულებაში.

30 სექტემბერს გაიმართა ხაშურის კვანძის ორასოვანთა შეკრება. აღინიშნა, რომ სამამულო ომის დღეებში დიდად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაიზარდა საწარმოო დავალებათა 200 და მეტი პროცენტით შემსრულებელთა რიგები.

კვანძის საუკეთესო „ორასოვნებად“ დაასახელეს მჭედლები: არშაკ მჭედლიშვილი, სანდრო ჯოჯიშვილი, ლევან მეტრეველი, გიორგი რევაზიშვილი, რომლებიც საწარმოო დავალებებს სისტემატიურად ასრულებდნენ 215-405 პროცენტებით, დურგლები გიორგი ბეროზაშვილი, საშა ელიავშვილი, ციცქიშვილი, რომლებიც გეგმებს ასრულებდნენ 200 პროცენტიდან 410 პროცენტამდე. ზეინკლები – შიო ქიმერიძე, ალ. დიდებულიძე, ირაკლი კაპანაძე, მიხეილ კიკაძე, თედო ნოზაძე, რომლებიც გეგმებს 200-დან 280 პროცენტამდე ასრულებდნენ. „ორასოვანია“ საორთქლმავლო დეპოს მექანიკური საამქრო. „ორასოვანთა“ რიგებს ელდეპოდან ავსებდნენ ვ. ფრანჩუკი, კ. გველესიანი, შ. კაპანაძე, გ. რიჟამაძე, ა. მანჯავიძე, ი. მაღლაკელიძე და სხვები. შეკრებაზე სიტყვით გამოსულებმა აღნიშნეს, თუ როგორ მიაღწიეს საწარმოო დავალებათა შესრულებას 200 და მეტი პროცენტით. ელდეპოს მჭედელმა გიორგი რევაზიშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქამდე ორ ქურაზე მუშაობდა, აპირებს იმუშაოს 4 ქურაზე და საწარმოო გეგმები 400 პროცენტით შეასრულოს. დაეხმარება სხვებსაც, რათა გახდნენ „ორასოვნები.“

შეკრებაზე აღინიშნა, რომ საჭიროა ფართოდ გავრცელდეს „ორასოვანთა მოძრაობა“ და დაისახა მთელი რიგი ღონისძიებები.

ხაშურის რკინიგზის კვანძზე ფართო ხასიათი მიიღო მოძრაობამ: ძველი სპეციალისტები, რომლებიც დამსახურებულ პენსიაზე იმყოფებოდნენ უბრუნდებოდნენ თავიანთ საქმიანობას. ეს ინიციატივა თბილისში დაიწყო და ხაშურშიც დიდი გამოხმაურება ჰქონდა. 1942 წლის 21 იანვარს ხაშურში ჩატარდა თათბირი, რომელსაც 80-მდე ძველი კადრის, მუშა ესწრებოდა. აქ იყვნენ ზეინკლები, ხარატები, მჭედლები, მექანიკოსები და სხვა პროფესიების ძველი, კვალიფიციური მუშები, რომლებიც დიდი ხნის წინათ წავიდნენ წარმოებებიდან დაწინაურების, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან პენსიაზე გასვლის გამო. შეკრებაზე სიტყვით გამოვიდნენ ძველი კადრის მუშები, რკინიგზელები ს. ბერაია, ი. ლომიძე, დ. ტუროვი, ალ. მჭედლიშვილი, თ. კვაჭაძე, ნ. კახაძე, მ. ლომიძე, ენ. ქიტიაშვილი, ს.ვ პაქსაშვილი, ვ.აღლაძე, გ. ბათიაშვილი და პ. ქუზიაშვილი, რომლებმაც განაცხადეს, რომ მზად არიან წავიდნენ სამუშაოდ, იქ სადაც მიუთითებთ სამშობლო.

დავით ტუროვი 75 წლის იყო, აქედან 53 წლის განმავლობაში რკინიგზის ტრანსპორტზე მუშაობდა. იგი პროფესიით ზეინკალი იყო, ორთქლმავლის ოსტატი. 1929 წელს მას მიეკუთვნა „შრომის გმირის“ წოდება. მრავალი წლის საწარმოო გამოცდილების მქონე ოსტატს ათასობით კვალიფიციური მუშა ჰყავდა აღზრდილი. უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში ქალაქის დაწესებულებებში მუშაობდა და გამოთქვამდა სურვილს დაბრუნებოდა საზეინკლო დაზგას. თომა კვაჭაძესაც ნახევარი საუკუნე ჰქონდა ნამუშევარი რკინიგზაზე. მასაც „შრომის გმირის“ წოდება ჰქონდა მინიჭებული. იგი დაუფლებული იყო ზეინკლობას, მონტიორობას, ჰქონდა არაერთი გამოგონება.

-სიხარულით წავალ წარმოებაში, მთელ ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას მოვახმარ გეგმების მაღალი ხარისხით შესრულების საქმეს. უშუალო მონაწილეობას მივიღებ ფრონტისათვის დახმარებაში – აღნიშნავდა იგი თათბირზე.

„თათბირი დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა, კადრის ძველი მუშები ერთსულოვნად მოითხოვდნენ საწარმოებში გაგზავნას და სიტყვას იძლეოდნენ, რომ თავდადებით იმუშავებდნენ, წარმატებით შეასრულებდნენ საწარმოო დავალებას, თავის გამოცდილებას გაუზიარებდნენ ახალგაზრდა მუშებს, ომიანობის დროს სტახანოვური მუშაობით დაეხმარებოდნენ წითელ არმიას სისხლინ ფაშიზმზე გამარჯვებაში.

–დავბრუნდეთ, ამხანაგებო, საწარმოში, ვიმუშაოთ დაუღალავად, მალე გამოვჭედოთ ჰიტლერზე გამარჯვების იარაღი – აცხადებდნენ ისინი“.

* * *

მტერმა ხაშურამდეც მოაღწია. „ჰიტლერელი სვავები ღობე-ყორეს აწყდებოდნენ და ცდილობდნენ, თავიანთი ავანტურისტული მოქმედებით საბჭოთა ადამიანების რწმენა შეერყიათ, პანიკა შეეტანათ ზურგში მშრომელებს შორის. ამ მიზნით ხან აქ, ხან იქ მათი პირატი ჰაერის მეკობრეები უსისტემოდ ყრიდნენ ბომბებს. შემოდგომის ერთ დღეს მტრის თვითმფრინავები შემოიჭრნენ ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე, რამდენიმე ბომბი ჩამოაგდეს თვით ქალაქში, ოსიაურის ჩრდილოეთით 200 მეტრში ელ-დეპოსთან. იყო ადამიანთა მსხვერპლიც. ასე იქცეოდნენ ისინი სხვა ქალაქებში და სოფლებშიც, მაგრამ ამით პანიკას ვერ იწვევდნენ მოსახლეობაში“.

* * *

ასეთი გამოხმაურება ჰქონდა სამამულო ომის დაწყებას ხაშურში, შრომითი აღმავლობა პირველსავე დღეებში საწინდარი იყო შემდგომი თავდადებული შრომისა, რომელიც მიმართული იყო მტერზე გამარჯვებისკენ. ამ მხრივ ხაშურელებმა არაერთი საინტერესო ფურცელი ჩაწერეს ქალაქის ისტორიაში. სამაგალითო იყო რკინიგზელთა და არამარტო მათი მიღწევები ზურგში, ისინიც სჭედდნენ გამარჯვებას. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ომში გამარჯვება ძირითადად მხოლოდ და მხოლოდ ფრონტზე წყდებოდა. სადაც ხაშურიდან ასეულობით მებრძოლი თავდადებით იბრძოდა და არაერთმა სამშობლოს ერთგულებისა და გმირობის მაგალითი მოგვცა. ბევრი მათგანი გმირის სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე.

საშურა (ალექსანდრე) კილაბერიძე ბავშვობიდანვე ავიაციით იყო გატაცებული, როცა მეათე კლასში გადავიდა პარალელურად დაიწყო სიარული აეროკლუბში. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა სტალინგრადის — საავიაციო სკოლაში, რომელიც უმცროსი ლეიტენანტის წოდებით დაამთავრა და სამსახური დაიწყო ლენინგრადის სამხედრო ოლქში.

სამამულო ომის დაწყების შემდეგ იგი არმავირში გააგზავნეს კურსანტების სამეცადინოდ, მაგრამ გული ფრონტისაკენ მიუწევდა. მალე წადილი აისრულა, ფრონტზე გაემგზავრა როგორც მფრინავი-გამანადგურებელი.

1942 წლის ზაფხულში მას თვითმფრინავი დაუზიანეს და მტრის ზურგში დაეშვა. პარტიზანების დახმარებით ფრონტის ხაზი გადმოლახა და თავის ნაწილს დაუბრუნდა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაიჭრა. განკურნების შემდეგ ხაშურში ჩამოვიდა ერთი თვით. მის მკერდს ამშვენებდა წითელი დროშისა და წითელი ვარსკვლავის ორდენები. მალე ფრონტს დაუბრუნდა და ბრძოლაში ჩაება.

„ოფიცრების პოპოვისა და კილაბერიძის გამარჯვება“ ,- ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი ერთ-ერთ საფრონტო გაზეთში, ხოლო შემდეგ ადგილობრივ გაზეთშიც. წერილის ავტორი მოგვითხრობდა ორი მამაცი საბჭოთა მფრინავის შესახებ.

ერთ-ერთი საბრძოლო გაფრენის დროს გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა კილაბერიძემ შეამჩნია, რომ ჩვენი მოიერიშეებისაკენ ქვევიდან მოძვრებოდა გერმანელთა თვითმფრინავი „ფოკე-ვულფ-190“. კილაბერიძემ დაუყოვნებლივ უბრძანა გვარდიის ლეიტენანტ პოპოვს - „აბა იერიშზე!“

პოპოვმა სწრაფად მიაგნო მოწინააღმდეგეს, ამოიღო ნიშანში და გახსნა ცეცხლი. გერმანელი შეეცადა, თავი დაეძვრინა საბჭოთა მფრინავის ცეცხლისაგან, მაგრამ ამაოდ, პოპოვმა მეორე ჯერით ჩამოაგდო ძირს.

ვიდრე პოპოვი გერმანელთა პირველ თვითმფრინავს ებრძოდა, კილაბერიძემ იერიში მიიტანა მეორე ფაშისტ სვავზე. ეს „ფოკკერი“ კილაბერიძემ ორი აუცდენელი ჯერით მოსპო. ბოლო მოუღეს რა ორ ჰიტლერელს, პოპოვმა და კილაბერიძემ დაინახეს მტრის კიდევ ორი გამანადგურებელი, რომლებიც უახლოვდებოდნენ „ილუშინ-2-“-ს. მოხერხებული იერიშით პოპოვმა ჩამოაგდო მესამე „ფოკკერიც“.

ამრიგად ამ დღეს საჰაერო მტერზე პოპოვმა მოიპოვა ორი გამარჯვება, კილაბერიძემ ერთი. პოპოვის საბრძოლო ანგარიშზეა მტრის 15 ჩამოგდებული თვითმფრინავი, კილაბერიძის საბრძოლო ანგარიშზე კი – 7”.

გაზეთი „პრავდა“ 1944 წლის 25 სექტემბერს წერდა, რომ ერთ-ერთ ბრძოლაში მტრის ორმაგი ჭარბი ძალების მიუხედავად ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს მათზე. გვარდიის მაიორმა კილაბერიძემ პირადად ჩამოაგდო ორი „ფოკე-ვულფი“. სულ კი ამ დროისათვის ჩამოგდებული ჰყავდა 7 თვითმფრინავი. მან დაიმსახურა ორდენი „ალექსანდრე ნეველი“.

1944 წლის 9 სექტემბერს ალექსანდრე კილაბერიძე ოჯახს წერდა: „ვარ ჯანმრთელად, მტერს ვანადგურებ. მაქვს 5 ორდენი“.

ეს მისი უკანასკნელი წერილი იყო.

როგორც ვაჟკაცთა ხვედრია ისე დაიღუპა ალექსანდრე კილაბერიძე. როცა მის თვითმფრინავს ცეცხლი მოედო, პირდაპირ გააქანა ალმოდებული მანქანა მტრის თვითმფრინავისაკენ. ეს მოხდა 1944 წლის 10 ოქტომბერს.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს

ხაშურში, №7 საჯარო სკოლის ეზოში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მინი სტადიონის მშენებლობა, ხოლო დაბა სურამში, რაგბის მოედნის კეთილმოწყობა ხორციელდება.



„გარდა აღნიშნული პროექტებისა, სპორტულ ინფრასტრუქტურას ვაწყობთ ფარნავაზის ქუჩაზე, უახლოეს პერიოდში დაიწყება მინი სტადიონების მშენებლობა, სოფელ ცოცხნარასთან , ასევე ურთხვაში. ტენდენციას კვლავაც აქტიურად გავაგრძელებთ,რათა ხელი შევუწყოთ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და პოპულარიზაციას.“- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, მერთან ერთად მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი გაეცნენ. მათი განმარტებით, ორივე პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება,რაგბის სტადიონის მოსაწყობად 138 900 ლარი, ხოლო №7 საჯარო სკოლის ეზოში მინი სტადიონის მშენებლობისთვის 189 758 ლარია გამოყოფილი.

რკინიგზელთა პროფკავშირი მუდამ რკინიგზელთა გვერდითაა

9,10 და 11 აგვისტოს, საქართველოს რკინიგზაზე, მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა. მოხდა მატარებლების მოძრაობის გადართვა ახალ მიმართულებაზე, გაიხსნა მე-11 გვირაბი და 3 ახალი ხიდი.

სამი დღის განმავლობაში რკინიგზის 500-მდე თანამშრომელმა 24 საათიან რეჟიმში იმუშავა.

საქართველოს რკინიგზელთა პროფესიულმა კავშირმა გამოიჩინა ინიციატივა და ზემოაღნიშნულ პერიოდში, საკუთარი სახსრებით უზრუნველყო დასაქმებულთა სრულყოფილი კვება. აგრეთვე, ახორციელებდა მეთვალყურეობას შრომითი უსაფრთხოების წესების შესაბამისად და სრულ კოლეგიალურ მხარდაჭერას.

საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირი ყოველთვის მზად არის მონაწილეობა მიიღოს მსგავსი პროექტების განხორციელებაში და სათანადოდ დაიცვას დასაქმებულთა შრომითი და პროფესიული ინტერესები.

სურამში, ბაიანთხევის დასახლებაში, გზის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს

„ბაიანთხევის დასახლება ტურისტულ ზონას წარმოადგენს და ბევრი დამსვენებელი სტუმრობს, შესაბამისად, საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული უნდა იყოს, რომ გადაადგილებისას პრობლემა არ შეექმნას არც ადგილობრივ მცხოვრებს, არც სტუმარს.

ზოგადად,დაბა სურამის მიმართულებით,სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას ვაპირებთ,რაც მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი იქნება“- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ბაინათხევის გზის რეაბილიტაციის ფარგლებში, მოიჭრა გრუნტი და დაიგო 2 კილომეტრიანი ბეტონის გზა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სანიაღვრე არხების მოწყობა.

აღნიშნულ სამუშაოებს მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს, ღირებულება კი 943 098 ლარს შეადგენს.

ხაშურში, ფარნავაზის ქუჩაზე, მინი-სტადიონის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

სპორტული სივრცეების არსებობა მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისა და ხელშეწყობისთვის. პროექტი, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ახალგაზრდების ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდება. გარდა ამისა, ვგეგმავთ, მინი-სტადიონის გვერდით არსებული სკვერის თანამედროვე სტანდარტებით მოწყობას, რაც მოსახლეობას გართობისა და დასვენების შესაძლებლობას მისცემს, სპორტული მოედნებისა და სკვერების მშენებლობას კვლავაც აქტიურად გავაგრძელებთ” - აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი გაეცნენ. მათი განმარტებით,ფარნავაზის ქუჩაზე არსებული მინი-სტადიონის რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 144 920 ლარს შეადგენს.



- ფეხბურთი -

იწყება მუნიციპალიტეტის პირველობა

ხაშურის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის პოპულარიზაციისა და ახალგაზრდობის ჩართულობის მიზნით, 24 აგვისტოდან 9 სექტემბრამდე, კომპლექსური სასპორტო სკოლის ორგანიზებით და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართება მუნიციპალიტეტის პირველობა მინი–ფეხბურთში - "დურუს თასი 2022".

შეჯიბრებაში მონაწილე გუნდებმა განაცხადები (განაცხადში შეყვანილი უნდა იყოს 12 ფეხბურთელი) უნდა წარადგინონ სასპორტო სკოლაში (მის: იმერეთის ქუჩა№103ა).

განცხადებები მიიღება 16 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით.

კენჭისყრა გაიმართება სასპორტო სკოლაში 22 აგვისტოს, 16:00 საათზე.

ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით კომპლექსური სასპორტო სკოლის ადმინისტრაციას.

ტელ: 591-99-22-25

ქ. ხაშურში, სათავე ნაგებობებზე, წყლის დებიტის გაზრდისა და წყალმომარაგების გაუმჯობესებისთვის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

ზაფხულის სეზონზე, სასმელი წყლის სარწყავად მოხმარების გამო და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, დებიტი მნიშვნელოვნად შემცირდა, რის გამოც ქ.ხაშურის მოსახლეობის ნაწილს წყალი შეზღუდულად მიეწოდება.

კომპანიის ტექნიკური ჯგუფი უწყვეტ რეჟიმში მუშაობს, ცხრამუხისა და ღვთისას სათავეებზე, რათა უახლოეს დღეებში წყლის არსებული გრაფიკი აღდგეს.

ნონა თედიაშვილი: ბედნიერი ვარ, როცა ხაშურელი ბავშვები ოკეანის სანაპიროზე იცინიან...

ბავშვებისთვის შექმნილი საოცარი თავგადასავალი-ასე შეიძლება ვუწოდოთ ანსამბლ „ოქროს ფარს" და არ იქნება პათეტიკური, რადგან, ანსამბლი თავისი ოცდაშვიდწლიანი არსებობის განმავლობაში, ხაშურის კულტურულ ცხოვრებას ქმნის. საერთაშორისო ფესტივალები, გასტროლები, ძალიან დიდი ფუფუნებაა ზოგიერთი აკადემიური ანსამბელიბისთვისაც და როგორი საამაყოა, რომ „ოქროს ფარი", წელიწადში სამჯერ მიემგზავრება საგასტროლო ტურნეზე საზღვარგარეთ. მათ ყველგან ცნობენ, მათი სიფერადე, საზღვრებს გარეთაც თვალისმომჭრელია-მოწონთ, აქებენ, ეპატიჟებიან. სულ ცოტა ხნის წინ, ანსამბლი მაროკოდან დაბრუნდა. ეს უპრეცენდენტო გასტროლია, რადგან შიდა ქართლიდან, ეს პატივი მხოლოდ „ოქროს ფარს" ერგო. ანსამბლის, სტუდიის ჯადოსნურ თავგადასავალს, ნონა და პაატა თედიაშვილები ქმნიან-ყველა ბავშვის მეგობრები და თანატოლებიც არიან:

ნონა თედიაშვილი, „ოქროს ფარის" ქორეოგრაფი და კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი:

–ეს ყველაფერი, ასე მარტივად არ მოსულა, ამის უკან დიდი შრომა და 27 წელი დგას. სტუდიის დაარსების იდეა დედას ეკუთვნის. ეს ჯერ კიდევ ის პერიოდია, ქვეყანაში მრავალი სოციალური პრობლემა რომ იყო. მე და ჩემი ძმა ვცეკვავდით, თვითონაც ხელოვანია და უნდოდა, ჩვენი ნიჭი და შესაძლებლობები ერთ კონცეფციად შეეკრა და აქედან გაჩნდა სტუდიის შექმნის იდეაც და სურვილიც და რადგან, ჩვენ პატარები ვიყავით მაშინ და ამის გამოცდილებაც არ გვქონდა, დედამ აიღო მთელი პასუხისმგებლობა. ჩვენი სტუდიის გახსნამდე, სხვა სტუდიაში ვმუშაობდით, მე ქართულ ცეკვებს ვცეკვავდი, პაატა თანამედროვეს. იმ სტუდიაში გავაკეთეთ ბევრი კარგი პროგრამა, ღონისძიება, საღამოები. ესეც დაედო საფუძვლად, საკუთარი სტუდია გვქონოდა, მოთხოვნილებაც იყო ხაშურში და იმ პერიოდში, სკოლებშიც დაიშ-

ალა ცეკვის სტუდიები, დედა ჩაუდგა სტუდიას სათავეში და ამ ყველაფერს, თავისი განვითარებაც მოჰყვა. ჩავაბარეთ სამედიცინო უნივერსიტეტში და მივედით ერისიონის სტუდიაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. გვასწავლიდნენ საუკეთესო ქორეოგრაფები. ძალიან დიდი გამოცდილება იყო, რომელიც შემდეგ ჩვენს მოსწავლეებს გადავეცით.

- როგორ გახსენდებათ დასაწყისი, დარწმუნებული ვარ, იმ დროს, ძალიან დიდი სირთულეების გამოვლა მოგიწევდათ.

–ძალიან დიდი სირთულეები გავიარეთ, გენერატორების ელ.ენერგიაზე ვატარებდით კონცერტებს და კონცერტის ხანგრძლივობა,ახლა ძალიან მეცინება, ამ პერიოდს და კურიოზებს რომ ვიხსენებ, გენერატორის გამართულობაზე იყო დამოკიდებული. ყველას უჭირდა, ხალხს, სახელმწიფოს, არ არსებობდა სახელმწიფო ინსიტუტები, სოციალური ფონი ძალიან მძიმე იყო და ამის მიუხედავად, ლელა წურწუმია, კახა ცისკარიძე და სხვა მაშინდელი ვარსკვლავები ჩამოგვყავდა და გენერატორით ვაწყობდით კონცერტებს. ესაა შოუბიზნესი და ბუნებრივია, ფინანსურ დაინტერესებას ვერსად გავექცევით, თუმცა, ძალიან ბევრი კონცერტი ჩავატარეთ იმ პერიოდში, ჩამოგვყავდა მომღერლები და ჩვენი სტუდიის ბავშვებთან ერთად ვმართავდით კონცერტებს. ძალიან ბევრი მომღერლის ჩამოთვლა შემიძლია და მათი რიცხი, არც ისე ცოტაა. ახლა რომ ვფიქრობ, იმ პერიოდისთვის, როცა ჩვენც ჯერ კიდევ პატარები ვიყავით, სოციალური ფონიც ძალიან მძიმე იყო,წარმოუდგენელი შევძელით. ხაშურს ახსოვს ეს დღესასწაულები. მრავალი მიმართულებით ვვითარდებოდით და ძალიან ბევრ მიმდინარეობას და სფეროს მოვიცავდით.

- ანსამბლი თავიდან ბოლომდე ოჯახური ამბავია, ფუნქციები როგორაა გადანაწილებული?

–ანსამბლის დამფუძნებელი და დირექტორი გახლავთ დედა-ქალბატონი ნელი იაშვილი, ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, კოსტიუმების შემქმნელი და ქორეოგრაფი არის პაატა თედიაშვილი და მე ვარ ქორეოგრაფი და კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი. მიუხედავად იმის, რომ პაატა თბილისში მოღვაწეობს, მისი ჩამოსვლა იმდენად ნაყოფიერია, შეუძლია ერთ ჩამოსვლაზე უდიდესი მასალა დატოვოს და წავიდეს. და კოსტიუმები,რომელიც მისი შექმნილია, ძალიან დიდ მოწონებას იმსახურებს, როგორც ქვეყნის, ისე მის გარეთ-არის სხვაობა ფერებში, დეტალებში,რაც გამოგვარჩევს სხვა სტუდიებისგანაც.

- ქართული ცეკვის გათანამედროვება რამდენად მისაღებია თქვენთვის? თქვენს საცეკვაო რეპერტუარში თუ გაქვთ მსგავსი ცეკვები, ან საკუთარი ქორეოგრაფიით თუ ქმნით?

–თვითონ ნინო რამიშვილიც ამბობს, რომ ცეკვა არაა მუზეუმი, ესაა ცოცხალი ორგანიზმი, რომელსაც მუდმივად განახლება სჭირდება. ნინო რამიშვილის ვარსკვლავის გახსნაზე, რომელსაც მე და პაატაც ვესწრებოდით, მოხდა პირველად ილიკო სუხიშვილის ახალი ცეკვის "ზეკარის" პრეზენტაცია. როცა სცენაზე გაჩნდა თანამედროვე ინსტუმენტები, ეს იყო საოცრება. ქალბატონი ნინო, თავის სიცოცხლეში,ვე აძლევდა უფლებას, ქართული ცეკვა გაეთანა-

(დასასრული VI გვერდზე)

ნონა თედიაშვილი: ბედნიერი ვარ, როცა ხაშურელი ბავშვები ოკეანის სანაპიროზე იცინიან...

(დასასრული)

მედროვებინა, სხვა ელემენტები შეეტანა, რამაც, როგორც ხედავთ, უდიდესი მოწონება დაიმსახურა. რომ არ იყოს „ლაზური," „ცდო", „ცეკვა-თამაში", ის თანამედროვე პროგრამა, რომელიც სუხიშვილებმა შექმნეს, მხოლოდ კლასიკური ქართული ცეკვა მოსაწყენი იქნებოდა ბავშვებისთვის-ერთგვარი განახლება მოხდა და ეს ძალიან კარგია.

პაატა, წლების განმავლობაში, სულ თავისი ქორეოგრაფიით და ინ

ტერპრეტაციით მუშაობს. უბრალოდ, აქ სხვა ნიუანსებია-უნდა შეიქმნას ახალი მუსიკა, ამას ჭირდება ბევრი ინსტრუმენტი, სტუდიური ჩანაწერი, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ამიტომ, ჩვენ ვიყენებთ აკადემიური ანსამბლების მუსიკას და ჩვენი ქორეოგრაფიით ვდგამთ ცეკვებს.

- რამდენი მოსწავლეა დღეისთვის სტუდიაში?

–პანდემიის პერიოდამდე გაცილებით ბევრი მოსწავლე გვყავდა. ამ პირობებშიც, ჩუმად მაინც ვახერხებდით მუშაობას. პანდემიის შემდეგ, დაახლოებით 350 ბავშვი ცეკვავდა ჩვენ სტუდიაში და წელს, უფრო მეტს ველოდებით. ორი ანსამბლი გვყავს, დიდების და პატარების, ასევე გვაქვს სამოდელო ჯგუფი, რომლის აღსაზრდელებიც სხვადასხვა სილამაზის კონკურსებში იღებენ

მონაწილეობას. დაახლოებით 120 ბავშვია, რომლებიც საკონცერტო პროგრამაში იღებენ მონაწილეობას.. კონკურენცია დიდია, ქალაქი პატარა, მადლობელი ვარ, როცა ჩვენს სტუდიაზე აკეთებენ არჩევანს.

- ყველა დამეთანხმება და ეს მოცეკვავეები და მათი მადლიერი მშობლების დამოკიდებულებაა, რომ მათი შვილებისთვის ქმნით ზღაპარს, რომელიც ძალიან ფერადი და ბავშვური თავგადასავალია. როგორ ახერხებთ ამას?

–ჩვენ რომ ვყოფილიყავით, სხვა, დიდ ქალაქში, ეს ყველაფერი არ იქნებოდა განსაკუთრებული, მაგრამ რადგან პატარა, პროვინციულ ქალაქში ვცხოვრობთ, აქაურ ბავშვებს აძლევ შესაძლებლობას, გაეცნონ სხვა ქვეყნის კულტურას, ძალიან დიდი ბედნიერებაა ჩვენთვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ძირითადად, დაფინანსება გვაქვს იმ ქვეყნებიდან, სადაც მივდივართ. როდესაც მასალას ვუგზავნით, ინტერესდებიან ჩვენი კოსტიუმებით, ქორეოგრაფიით და გვიგზავნიან მოწვევას თანადაფინანსებით. ჩვენ ოთხჯერ ვიყავით საბერძნეთში, აქედან კუნძულ ჰალკიდიკზე და კრეტაზე უფასოდ, ვიყავით ისრაელში, ასევე მათი დაფინანსებით, ვიყავით მაროკოშიც, სადაც მხოლოდ მგზავრობის ბილეთები შევიძინეთ. თურქეთში მივდივართ ფესტივალზე, ეგეოსის ზღვის სანაპიროზე და იქაც თანადაფინანსებით.

წელიწადში ერთი გასტროლი საზღვარგარეთ, ანსამბლისთვის, არის ნორმალური, გამოვიდა, რომ ჩვენ წელს სამი გასტროლი გვაქვს. ივნისში პატარე-

ბის ანსამბლი ქობულეთში გვყავდა, ივნისში იყო ასევე ანკარის ფესტივალი, რომელიც მსოფლიო დონის ფესტივალია. შემიძლია თავი მოვიწონო იმ ფაქტით, რომ ჩვენი ანსამბლი ერთადერთია შიდა ქართლიდან, რომელმაც იცეკვა მაროკოში და მიემგზავრება ეგეოსის ზღვის სანაპიროზეც, მსოფლიო ფესტივალში მონაწილებისთვის.

- მაროკოზე, როგორც ერთ დიდ თავგადასავალზე რომ გვიამბოთ...

–მაროკო ნამდვილად არის თავგადასავალი, რომლის ემოციების და შთაბეჭდილებების ქვეშაც ვართ ისევ. ვართ ევროპის, აზიის ქვეყნებში ნამყოფი, მაგრამ მაროკო არის სხვა რაღაც. იყო განსაკუთრებული სირთულეები, რადგან არაა სავიზო რეჟიმი, არც საელჩო, რაც დამატებით ძალისხმევას მოითხოვდა და ვიზებზე ძალიან დაგვეხმარენ. პირველი და თავდაპირველი ემოცია მაროკოელ ხალხს მოაქვს, თავისი განსაკუთრებულობით, საოცარი ქვეყანაა. 15 ვიყავით ხაშურიდან, თუმცა, საქართველოს უფრო მეტნი წარმოვადგენდით. ექვსი ცეკვა გვქონდა წაღებული, ოთხ ფესტივალზე ვიცეკვეთ და ძალიან დიდი წარმატებები და გამოხმაურებები მოჰყვა. ყველაფერმა გაგვაოცა და დაგვამახსოვრა თავი. ეს იყო უმაღლესი დონის ფესტივალი, ასეთ ორგანიზებულ ფესტივალს, ვერ შეხვდებით ევროპაშიც. ეს იყო სამთავრობო დონეზე ორგანიზებული. მიგვიღეს პარლამენტში, პრემიერთან გვქონდა ვიზიტი. ჩვენ გავხსენით ფესტივალი, აღლუმზე, 17 ქვეყანას ჩვენ ვუდექით სათავეში. ემოციები ძალიან დიდია, ორივე მხრიდან, დღემდე გვიგზავნიან ფოტოებს, რადგან, ძალიან ბევრი ფოტორეპორტიორის ყურადღების ცენტრში მოვხვდით. თქვენი გაზეთისთვის, ექსკლუზიურად გავაჟღერებ ინფორმაციას. უკვე საქმიანი მოლაპარაკებები მექნება მაროკოს მხარესთან ნახალწლოდ, შესაძლებელია, უკვე ჩვენი სოლო კონცერტები დაიგეგმოს, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ყველაზე მეტად, ის ფაქტი მახარებს, რომ ხაშურელი ბავშვები ოკეანის სანაპიროზე იცინოდნენ. ყველაფრის მოყოლა, დაფიქსირება წარმოუდგენელია.

- ახლა რა ეტაპზე ხართ? როგორც ვიცი, კიდევ ერთი თავგადასავლისთვის ემზადებით.

–ახლა მუშაობის პროცესში ვართ, გასტროლისთვის ვემზადებით. ვიცეკვებთ მსოფლიო ფესტივალზე და ეგეოსის ზღვაზე დაისვენებენ ჩვენი ბავშვები. ეს იქნება რვადღიანი გასტროლი, რომლის თანადაფინანსება თურქეთის მხარეს ეკუთვნის. წარმოვადგენთ სამ ცეკვას. ამის შემდეგ, იქნება ადგილობრივი კონცერტები, ფოტოსესიები. ხშირად გამიგია ჩემი კოლეგებისგან, რომ ანსამბლი დაეშალათ, 27 წელია, "ოქროს ფარი" არსებობს და მსგავსი საშიშროება არ შექმნილა, პირიქით და მადლობელი ვარ ასეთი ნდობისთვის, დაფასებისთვის.

თ. ჯავახიშვილი

სს "გომის სპირტის და არყის კომპანია" იუწყება, რომ მათ რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა სუფთა სულის მქონე, საქმის ერთგული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, საუკეთესო მეგობარი და ვაჟკაცი პიროვნება

გიორგი (ბაჩა) გოგატიშვილი.

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ აუნაზღაურებელი დანაკარგის გამო და ვუსამძიმრებთ ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.